სს „საქართველოს ბანკის“ წლიური აქციონერთა კრების შედეგები

საქართველოს წამყვანმა უნივერსალურმა ბანკმა, სს „საქართველოს ბანკმა“ (LSE: BGEO; GSE: GEB) დღეს გამოაცხადა იმის შესახებ, რომ 2007 წლის 22 ივნისის აქციონერთა კრების დღის წესრიგში არსებული ყველა საკითხი დამტკიცდა ხმათა საკმარისი უმრავლესობით. დღის წესრიგის ყველა საკითხი შეტანილია 2007 წლის 1 ივნისის წლიური აქციონერთა კრების შეტყობინებაში, რომელიც აქციონერთა წლიურ კრებასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად შეგიძლიათ იხილოთ კომპანიის ვებ-გვერდზე (www.bog.ge/ir) ან მოითხოვოთ უშუალოდ კომპანიისგან მის იურიდიულ მისამართზე: პუშკინის ქუჩა №3, 0105, თბილისი, საქართველო.

ხმის მიცემის უფლების მქონე მთლიანი გამოშვებული აქციების რაოდენობამ 25,003,819 შეადგინა. აქციონერთა კრებაში მონაწილეობდა 16,478,882 ხმის მიცემის უფლების მქონე აქცია, რაც მთლიანი ხმის მიცემის უფლების მქონე აქციების 65.9%-ს შეადგენს. აქციონერთა წლიურ კრებაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. „ერნსტ ენდ იანგის“ მიერ აუდიტირებული ბანკის 2006 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება;
2. ბანკის მენეჯმენტის 2006 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშისა და ბანკის მომავალი გეგემებისა და სტრატეგიის დამტკიცება;
3. ნებადართული კაპიტალის 7,500,000 ჩვეულებრივი აქციით გაზრდა და ახლადემიტირებულ აქციებზე უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება. 7,500,000 ჩვეულებრივი აქციის ემისია შესაძლებელი გახდება მხოლოდ შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით წლიური აქციონერთა კრების თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში;
4. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების დამტკიცება;
5. ბანკის წესდებაში ცვლილებების დამტკიცება იმისათვის, რომ აისახოს გაცხადებული კაპიტალის 7,500,000 ჩვეულებრივი აქციით გაზრდა და აგრეთვე ბანკის წესდების საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად;
6. „საქართველოს ბანკის“ საკომპენსაციო კომისიის შემოთავაზების დამტკიცება. აქციონერთა კრებამ საკომპენსაციო კომისიას მიანიჭა უფლებამოსილება აწარმოოს მოლაპარაკება და

„საქართველოს ბანკის“ შესახებ

საქართველოს წამყვანი უნივერსალური ბანკი „საქართველოს ბანკი“, რომელიც საქმიანობას აწარმოებს საქართველოსა და უკრაინაში, საქართველოს უმსხვილესი ბანკია მთლიანი აქტივების, მთლიანი სესხებისა და სააქციო კაპიტალის მიხედვით. „საქართველოს ბანკის“ საბაზრო წილი მთლიანი აქტივების მიხედვით 33%-ს გაუტოლდა 2007 წლის 31 მარტის მდგომარეობით (საქართველოს ეროვნული ბანკის 2007 წლის 31 მარტის მონაცემების შესაბამისად). ბანკი „გალტ ენდ თაგგარტის“ ინდექსის მთავარი შემადგენელი კომპონენტია. ბანკს აქვს 103 ფილიალი, იგი ემსახურება 500,000-ზე მეტ ფიზიკურ პირს და 50,000-ზე მეტი იურიდიული პირის ანგარიშს. ბანკი კლიენტებს საქართველოში სთავაზობს კორპორატიული და სამომხმარებლო საბანკო პროდუქტების ფართო არჩევანს. ბანკი კლიენტებს აგრეთვე სთავაზობს კორპორატიულ და სამომხმარებლო სადაზღვევო პროდუქტებს შვილობილი კომპანიის „ბისიაის“ მეშვეობით, აგრეთვე, აქტივებისა და დაგროვილი ქონების მართვის მომსახურებას.

მიმდინარე თარიღისთვის „საქართველოს ბანკს“ აქვს შემდეგი რეიტინგი:

Standard & Poor's	'B+/B'	სტაბილური პერსპექტივა
Moody's	'B3/NP' (FC) & 'Baa3/P-3' (LC)	სტაბილური პერსპექტივა
Fitch Ratings	'B/B'	სტაბილური პერსპექტივა

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ:

ლადო გურგენიძეს
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
+995 32 444 103
lgurgenidze@bog.ge

ირაკლი გილაურს
გენერალური დირექტორი
+995 32 444 109
igilauri@bog.ge

მაკა ეკიზაშვილს
ინვესტორებთან ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი
+995 32 444 256
ir@bog.ge

გააფორმოს განახლებული სამუშაო ხელშეკრულება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან, ბატონ ლადო გურგენიძესთან. ბატონ ლადო გურგენიძესთან არსებულ სამუშაო ხელშეკრულებას ვადა ეწურება 2007 წლის 30 სექტემბერს. თავად ბანკისთვის ახალი სამუშაო ხელშეკრულების პირობები არ უნდა იყოს ამჟამინდელ პირობებზე უარესი. აქციონერთა კრებამ საკომპენსაციო კომისიას ასევე მიანიჭა უფლებამოსილება გააფორმოს სამუშაო ხელშეკრულება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ბატონ ნიკა ენუქიძესთან. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ხელშეკრულების გასაფორმებლად სამეთვალყურეო საბჭოს საკომპენსაციო კომიტეტს გამიზნული აქვს დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა, რომელთა შეფასებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად მოხდება შესაბამისი ხელშკრულების გაფორმება.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ხმის მიცემის შედეგები:

გადაწყვეტილება	მომხრე	დამსწრე ხმის მიცემის უფლების მქონე აქციების %	წინააღმდეგი/თავი შეიკავა	დამსწრე ხმის მიცემის უფლების მქონე აქციების %	მთლიანად ხმის მიცემის უფლების მქონე აქციების რაოდენობა
1	16,478,882	100%	-		16,478,882
2	16,478,882	100%	-		16,478,882
3	14,694,920	89%	1,783,962	11%	16,478,882
4	16,478,882	100%	-		16,478,882
5	14,587,920	89%	1,890,962	11%	16,478,882
6	14,479,435	88%	1,999,447	12%	16,478,882